საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18189052, 02/11/2018 16:29:59

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ევრო-ვაგონკა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	430030708
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	18/03/2015
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ზესტაფონი, ი.გოგებაშვილის ქ., N 24

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: juli_juliko@mail.ru

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 18001016245, დავით კოხრეიძე, რუსეთი, საქართველო
- დირექტორი - 62003006648, მამუკა მაისურაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
18001016245, დავით კოხრეიძე, რუსეთი, საქართველო	50%	
35001053278, დავითი სირაძე	50%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი


რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საკადასტრო კოდი : 01.12.12.002.074 ნაკვეთის დანიშნულება : არასასოფლო სამეურნეო

ფართობი: 12162 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



სარეკონსტრუქციო არეალი

შენობა /ნაგებობა

ტყის ფონდი

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ვალდებულება

ხელშეკრულება

არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის შესახებ

ქ. თბილისი 28 მარტი 2019 წელი

მექანიზაციის №1

შ.პ.ს. „თომა-7", საიდენტიფიკაციო კოდი 200239679, რეგისტრაციის მოწმობა სერია თბი №07716, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი მექანიზაციის ქ.№1, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.12.12.002.074, შემდგომში „მეიჯარე" მისი დირექტორის იური ქავთარაძის (პირადი №01022010034) სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს. „ევრო ვაგონკა"(ს.კ430030708) შემდგომში „მოიჯარე" მისი დირექტორის მამუკა მაისურაძის (62003006648)სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I.ხელშეკრულების საგანი:

1.1. „მეიჯარე" გამოსყიდვის უფლების გარეშე გადასცემს „მოიჯარეს" მექანიზაციის ქ. №1-ში მდებარე(საკადასტრო კოდი 01.12.12.002.074)160მ^2 არასაცხოვრებელ ფართს და 100მ^2 ღია ტერიტორიას, რომელსაც გამოიყენებს სასაწყობე მეურნეობისთვის.

ასევე გამოუყოფს 25მ^2 ღია ტერიტორიას, სადაც შ.პ.ს ,,ევროვაგონკა" დროებით განათავსებს I კლასის უსაძირვკლო ხის ნაგებობას.

1.2. საიჯარო ხელშეკრულება მოქმედებს 2019 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ჩაითვლება გაგრძელებულად, თუ მხარეები ერთი თვით ადრე წერილობით არ აცნობებენ ერთმანეთს შეწყვეტის შესახებ.

1.3. საიჯარო გადასახადი თვეში დ.ღ.გ-ს ჩათვლით შეადგენს 500(ხუთასი)ა.შ.შ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის არსებული ოფიციალური კურსით

II. მხარეთა ვალდებულებები:

2.1. „მეიჯარე" იღებს ვალდებულებას:

- 2019 წლის 1 აპრილიდან გადასცეს „მოიჯარე"-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი.
- შეძლებისდაგვარად გაუწიოს კომუნალური მომსახურეობა, რომელიც მას გააჩნია.

2.2.. „მოიჯარე" იღებს ვალდებულებას:

- გადაუხადოს „მეიჯარეს" ქირავნობის თანხა ყოველი საანგარიშო თვის დასაწყისში არაუგვიანეს 10 რიცხვისა.
- გადაუხადოს „მეიჯარეს ყოველი საანგარიშო თვის ბოლომდე გადასახადი კომუნალურ მომსახურეობაზე კონკრეტული დანახარჯების მიხედვით, რომელსაც მას წარუდგენს „მეიჯარე".

- აღნიშნული გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში „მეიჯარე" იტოვებს უფლებას გაუფრთხილებლად შეუწყვიტოს „მოიჯარე-"ს ელექტრო ენერგიის მიწოდება.

-ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10(ათი) დღისა წერილობით აცნობებს ქალაქის დასუფთავების სამსახურს ფართის იჯარით აღების შესახებ, რათა აყვანილ იქნას აღრიცხვაზე დასუფთავების მოსაკრებლის აბონენტად.

- იღებს სრულ პასუხისმგებლობას იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე, სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვაზე.

- საკუთარი ძალებით ახორციელებს ობიექტის დაცვას

- მეიჯარის მიზეზით იჯარით აღებული ქონების დაზიანების შემთხვევაში მეიჯარე სრულად ანაზღაურებს მიყენებულ ზარალს.

III. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. მხარეები ღებულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე საქართველოს კანონმდებლობის მიერ დადგენილი მოთხოვნილებისამებრ.

IV. შესაძლო დავის გადაწყვეტა

4.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ყველა შესაძლო დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთახმებით.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, მაშინ ისინი მიმართავენ სასამართლოს.

V. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები.

5.1. თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ხელშეკრულება მაშინ, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობებიდან თუნდაც ერთის დარღვევას.

5.2. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყვეტილ იქნას ვადაზე ადრე, თუ მხარე ამის შესახებ წერილობით ორი თვით ადრე აუწყებს მეორე მხარეს.

5.3. თუ, ხელშეკრულების შეწყვეტის მსურველი მხარე მეორე მხარეს დაგვიანებით შეატყობინებს აღნიშულის შესახებ, მაშინ პირველი მხარე მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით უხდის დაგვიანებულ პერიოდზე გადაანგარიშებულ საიჯარო თანხას.

5.4. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისას „მოიჯარე"-ს მის მიერ დროებით სარგებლობაში მიღებული ფართის რემონტზე და რეკონსტრუქციაზე (თუ ასეთი არსებობს) გაწეული ხარჯები არ უნაზღაურდება.

VI. გაურკვეველი ძალის მოქმედება (ფორს-მაჟორი)

6.1. მხარეები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან ნაწილობრივად ან მთლიანად ხელშეკრულების ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ შეუსრულებლობის მიზეზი არის გაუთვალისწინებელი ძალა, რომელიც წარმოიქმნა ხელშეკრულების დადების შემდეგ საგანგებო სიტუაციის შედეგად და მისი წარმოშობა მხარეებისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი.

6.2. გაუთვალისწინებელი ძალის მოქმედების გამო მხარე ვალდებულია უმოკლეს ვადაში აცნობოს წერილობით მეორე მხარეს სათანადო საბუთებით, რომლებიც ამტკიცებენ ზემოთ აღნიშნულ გარემოებას.

VI. დასკვნითი დებულებანი

7.1. ხელშეკრულების დადების დღიდან ძალას კარგავს ყველა ადრინდელ მოლაპარაკებათა დოკუმენტები.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა ხელშეკრულების დადების მომენტში, იგი შეივსება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

7.3. აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, ორივე ეგზემპლიარი იდენტურია და აქვს ერთნაირი ძალა, მონაწილე მხარეებს ეძლევათ თითო ეგზემპლიარი.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

„მეიჯარე"

შ.პ.ს. „თომა-7"
მექანიზაციის ქ. 1

ირექტორი

ი. ქაავთარაძე

„მოიჯარე"

შ.პ.ს. „ევრო ვაგონკა"
ზესტაფონი, გოგებაშვილის 4

დირექტორი

მ. მაისურაძე